<p>გამოყენებული აღნიშნული მონაცემები საპროექტო ჰიდრავლიკური და დაბინძურების დატვირთვების განსაზღვრისას, ამასთან, წარმოდგენილ ცხრილებს არ ახლავს შესაბამისი ტექსტური ახსნა, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ასევე, გზშ-ის ანგარიშში (ქვეთავი - 3.3.2 „მოსახლეობა და ჩამდინარე წყლების წარმოქმნა“) ცხრილის სახით მოცემულია საკანალიზაციო სისტემასთან დაკავშირებული მოსახლეობის რიცხოვნობის გაანგარიშება 2040 წლის ჩათვლით, თუმცა არ არის განმარტებული გამოყენებული დაშვებები, მოსახლეობის ზრდის/კლების სცენარები ან სისტემასთან ეტაპობრივი მიერთების საკითხები, რაც საჭიროებს დაზუსტებას;</p>	<p>ბალდათის დაერთება 2027 წლიდან განსაზღვრულია 100%-ით.</p> <ul style="list-style-type: none"> • გათვალისწინებულია წყლის მოხმარება თითოეული დასახლებისათვის, რომელიც ბალდათის შემთხვევაში საგრძნობლად კლებულობს წლების განმავლობაში. • წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო, კომერციული, ინსტიტუციური და სამრეწველო ჩამდინარე წყლების წარმოქმნები თითოეული დასახლებისათვის. ამასთანავე გათვალისწინებულია ტურიზმით განპირობებული დატვირთვები, ჯამში წლის განმავლობაში ამ დასახლებებში გატარებული დამეების რაოდენობის მიხედვით. • მონაცემები ნორმირებულია მოხმარებული წყლის კანალიზაციაში დაბრუნების წილის კოეფიციენტით, რომელიც 80%/0.8 არის (მოხმარებული წყლის 80% ჩაეშვება კანალიზაციაში). • განსაზღვრულია წყლის მოხმარების შეფასება, საშუალო საერთო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა, საათობრივი პიკური მოთხოვნები, საათობრივი ჩამდინარე წყლების ხარჯი, ინფილტრაციის მოცულობა და სიჩქარე ძველსა და ახალ საკანალიზაციო ქსელის წყალშემკრებ ტერიტორიებში წვიმიან და მშრალ ამინდებში, წლების მიხედვით. <p>ყოველივე აქედან გამომდინარე გამოითვლება დინების საშუალო ჯამური ხარჯი მშრალ ამინდებში, ჯამური მაქსიმალური დინება მშრალ და წვიმიან ამინდებში, რომელიც მოცემულია ცხრილში, 2027 წლიდან 2040 წლის ჩათვლით. ასევე ჰიდრავლიკური დატვირთვის ფარგლებში, ამ მეთოდოლოგიის მეშვეობით განისაზღვრა დაბინძურების დატვირთვები სხვადასხვა ნივთიერებებისათვის. აღსანიშნავია, რომ ნავარაუდებია საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყლის მოხმარების პროგრესული შემცირება. მე-2 ეტაპი არსებული სცენარის მიხედვით მოიცავს 2040 წელს, რომელიც გულისხმობს დიმის, ნერგეთისა და ფერსათის მოსახლეობის ეტაპობრივ დაერთებას მაქსიმალური დაგეგმილი დაერთების რიცხოვნების გათვალისწინებით, დიმის მოსახლეობის 54%-ის , ფერსათის მოსახლეობის 50%-ის და ნერგეთის მოსახლეობის 22 % - ის დაერთების შემთხვევაში.</p> <p>ცხრილში მოცემული ბალდათის მოსახლეობის მონაცემები და შესაბამისი მაქსიმალური დატვირთვები წლების განმავლობაში მცირდება მოსახლეობის მიერ წყლის მოხმარების სავარაუდო პროგრესული შემცირების გამო. მე-2 ფაზისათვის დაერთებული მოსახლეობის სავარაუდო მოცულობები გათვალისწინებულია სისტემის სამომავლო მაქსიმალური დატვირთვისათვის საჭირო წარმადობის განსაზღვრად და უზრუნველსაყოფად, მაგრამ არ არის მოყვანილი კომენტარში მითითებულ ქვეთავში, რადგან ამ ეტაპზე წინასწარ განსაზღვრული არ არის ზუსტი გეოგრაფიული საზღვრები და შესაბამისად, შეუძლებელია ამ ეტაპზე საკითხის დაზუსტება. გასათვალისწინებელია, რომ ზემოთ აღნიშნული მიმდებარე სოფლების განსაზღვრული მასშტაბით დამატება შესაძლოა მოხდეს ნაწილობრივ ან საერთოდ არ მოხდეს. როდესაც გამწმენდი ნაგებობის გაფართოების პროექტი დაიწყება,</p>
---	---

მომზადდება შესაბამისი დოკუმენტაცია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროცედურის და მოთხოვნების გათვალისწინებით და წარედგინება გარემოს ეროვნულ სააგენტოს შესათანხმებლად.

წყალმომარაგების სისტემასთან დაკავშირებულ ბაღდათის მოსახლეობასა და წარმოქმნილ ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული გაანგარიშება 2040 წლის ჩათვლით ეფუძნება:

- ქალაქ ბაღდათის მთლიან მოსახლეობას და სამომავლო პროგნოზს საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით
- მოსახლეობის სიმჭიდროვის გათვალისწინებას
- თავში განსაზღვრულ ჩამდინარე წყლების წარმოქმნის საპროექტო კრიტერიუმებს
- მოსახლეობის მიერ წყლის მოხმარების პროგრესული შემცირების ფაქტორს
- საყოფაცხოვრებო, კომერციული, ინსტიტუციური და სამრეწველო ჩამდინარე წყლების წარმოქმნებს
- ზემოთ ჩამოთვლილ რელევანტურ კოეფიციენტებს და სხვა ნორმირების ფაქტორებს

2022, 2027, 2030, 2035 და 2040 წლების შედეგები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

ცხრილი 11 - BAG SAN - ჩამდინარე წყლების წარმოშობა

პარამეტრები	ერთ.	2022	2027	2030	2035	2040
მთლიანი დაკავშირებული მოსახლეობა	კაცი	0	2,641	2,668	2,711	2,761
სულ საშ. ჩამონადენი (მშრალი ამინდი)	ლ/წმ	0	13.1	13.0	12.4	12.4
სულ მაქს. ჩამონადენი (სველი ამინდი)	ლ/წმ	0	34	33.5	32.0	31.8

16 წარმოდგენილ ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტში არ არის დადგენილი კოლი-ინდექსის/E.coli ნორმა,

საკითხი განხილული იქნა პროექტირებაში მონაწილე საერთაშორისო ექსპერტთან ფოლკერ რაისთან. შესაბამისად, კოლი ინდექსის/ეკოლი ნორმირება ჩვენს შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ სასმელი წყლისთვის (ქლორირება/ოზონირება). პროექტით გათვალისწინებული გამწმენდი ნაგებობის წარმადობისა და ეფექტურობისთვის, ამ ნორმებზე შეზღუდვები არ არსებობს. აქედან გამომდინარე E.coli-ს ნორმის დადგენა და გათვალისწინება ზდგ-ს ანგარიშში არ მოხდა.

	რაც დასაზუსტებელია;	
17	ვინაიდან, პროექტის თანახმად UV ულტრაიისფერი სადებიონფექციო სისტემის მოწყობა გათვალისწინებულია მხოლოდ მე-2 ფაზისთვის კოლი-ინდექსის/E.coli ნორმის უზრუნველყოფის მიზნით, დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის ეტაპზე ბიოლოგიურად გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ქლორირების ან ოზონირების საკითხი;	საკითხი განხილული იქნა პროექტირებაში მონაწილე საერთაშორისო ექსპერტთან ფოლკერ რაისთან. შესაბამისად, კოლი ინდექსის/ეკოლი ნორმირება ჩვენს შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ სასმელი წყლისთვის (ქლორირება/ოზონირება). პროექტით გათვალისწინებული გამწმენდი ნაგებობის წარმადობისა და ეფექტურობისთვის, ამ ნორმებზე შეზღუდვები არ არსებობს.
18	გზმ-ის ანგარიშში (ქვეთავი 3.3.5 - „ჰიდრაულიკური გამოთვლა და მილის დიამეტრი“) აღნიშნულია, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ბაღდათში ჩამდინარე წყლების ყველაზე მაღალი გამომუშავება მოსალოდნელია 2027 წელს, წყლის მოხმარების სავარაუდო პროგრესული შემცირების გამო,	პირველი ფაზისათვის ჩამდინარე წყლების ჯამური მაქსიმალური ჩამონადენი არის 34 ლ/წმ, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც საწყისი ჩამონადენის მნიშვნელობა, რომლიდანაც მე-2 ფაზის ეტაპზე მოხდება ზრდა და მიაღწევს 60.25 ლ/წმ-ს. არსებული მოცულობა განსაზღვრულია იმ სცენარის მეშვეობით, სადაც მე-2 ფაზის ეტაპზე ჩამდინარე წყლების ჯამური მაქსიმალური ჩამონადენი განსაზღვრულია დიმის მოსახლეობის 54%-ის , ფერსათის მოსახლეობის 50%-ის და ნერგეთის მოსახლეობის 22 % - ის ეტაპობრივი დაერთების შემთხვევაში წარმოქმნილი დატვირთვისას. ამასთანავე, გათვალისწინებულია 2040 წლისთვის დასამატებელი სოფლების მოსახლეობის სავარაუდო რაოდენობები საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით და გამოყენებულია მე-15 კომენტარში განმარტებული გამოთვლების პრინციპები. თუმცა, წინასწარ განსაზღვრული არ არის ზუსტი გეოგრაფიული საზღვრები და შესაბამისად, შეუძლებელია ამ ეტაპზე საკითხის დაზუსტება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ზემოთ აღნიშნული მიმდებარე სოფლების დამატება საერთოდ არ მოხდეს. ასევე, თუ გამწმენდი ნაგებობის მსგავსი გაფართოების პროექტი დაიწყება, მომზადდება შესაბამისი დოკუმენტაცია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროცედურის და მოთხოვნების

<p>მიღებული სცენარი არის 2040 წელი, რომელიც ითვალისწინებს აგრეთვე გაფართოების ზონებში წარმოქმნილ ჩამდინარე წყლებს ქალაქ ბაღდათის გარეთ (ფერსათის, დიმის და ნერგეთის ნაწილები). ჩამდინარე წყლების ჯამური ნაკადი გაფართოების ზონის ჩათვლით იზრდება 60,25 ლ/წმ-მდე.” თუმცა ანგარიშში არ არის მითითებული, თუ რა საწყისი ნაკადის მნიშვნელობიდან ხდება აღნიშნული ზრდა და რა გაანგარიშებებს, ან დაშვებებს ეფუძნება ეს მაჩვენებელი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში წარმოდგენილია გაფართოების ზონები (ფერსათის, დიმის და ნერგეთის ნაწილები) აღწერილობითი ნაწილიდან არ ირკვევა კონკრეტულად რა ტერიტორიები იგულისხმება აღნიშნულ ზონებში და რა დამატებითი დატვირთვები</p>	<p>გათვალისწინებით და წარედგინება გარემოს ეროვნულ სააგენტოს შესათანხმებლად.</p>
---	---

	<p>არის მათთან დაკავშირებული. წარმოდგენილი კარტოგრაფიული მასალა ვერ უზრუნველყოფს ინფორმაციის გასაგებ აღქმას, ვინაიდან ზონები კოდიფიცირებულია და კოდების განმარტება ანგარიშში არ არის მოცემული. შესაბამისად, საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;</p>	
19	<p>გზმ-ის ანგარიშის მიხედვით (ქვეთავი 4.3.1) „...საქართველოში (მათ შორის რეგიონში), არ არსებობს მსგავსი სისტემების (ინდივიდუალური გამწმენდი სისტემები) გამოყენების ტრადიცია და გამოცდილება. გარდა ამისა, ასეთი სისტემების მონტაჟი და ოპერირება მოითხოვს საკმაოდ მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს. პროექტირების ამ ეტაპზე უპირატესობა მიენიჭა საერთო გამწმენდი ნაგებობის მოწყობას. შესაბამისად,</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია. მოცემულია დამატებითი განმარტებები:</p> <p>ინდივიდუალური გამწმენდი სისტემები</p> <p>ეს მეთოდი გულისხმობს მცირე წარმადობის ინდივიდუალური გამწმენდი დანადგარების დამონტაჟებას თითოეული მოსახლისთვის ან მოსახლეთა ჯგუფისთვის. ქვემოთ მოცემულია ამ სისტემის შედარება ცენტრალური გამწმენდი ნაგებობის სისტემასთან.</p> <p>დატვირთვის სტაბილურობა და ტექნოლოგიური კონტროლი</p> <p>საერთო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჰიდრაულიკური და ორგანული დატვირთვის დაბალანსებას • პროცესის ავტომატიზირებულ კონტროლს • მუდმივ ლაბორატორიულ მონიტორინგს • ავარიული რეჟიმების მართვას • უზრუნველყოფს სტაბილურ ბიოლოგიურ ნიტრიფიკაცია/დენიტრიფიკაციას • შედარებით მარტივად მიღწევადია ევროპული სტანდარტების შესაბამისი გაწმენდის ხარისხი

<p>ინდივიდუალური გამწმენდი დანადგარების გამოყენების ალტერნატიულ ვარიანტზე ამ ეტაპზე უარი ითქვა.” ანგარიშში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული ალტერნატივის ტექნიკური, გარემოსდაცვითი ან ოპერაციული შეფასება და არ არის დასაბუთებული, თუ კონკრეტულად რა ფაქტორებმა განაპირობა მისი უარყოფა. მხოლოდ ფინანსური მოსაზრებები ვერ ჩაითვლება ალტერნატივის გამორიცხვის საკმარის საფუძვლად. ამასთან, განცხადება ქვეყანაში შესაბამისი გამოცდილების არარსებობის შესახებ არ არის კორექტულად დასაბუთებული, ვინაიდან ინდივიდუალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემები უკვე გამოიყენება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის თბილისის შემოგარენის ახალ განაშენიანებულ არეალებში, სადაც არსებობს შესაბამისი</p>	<ul style="list-style-type: none"> • მომავალი გაფართოების შესაძლებლობას <p>ინდივიდუალური გამწმენდი სისტემები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუშაობენ არასტაბილური დატვირთვის პირობებში (დილის/სადამოს პიკები) • ხშირად არ აქვთ სრულფასოვანი ნიტრიფიკაცია-დენიტრიფიკაციის ეტაპი • გარკვეულ შემთხვევებში პრაქტიკაში ფუნქციონირებენ არასრული ბიოლოგიური ციკლით • დამოკიდებულია მომხმარებლის რეგულარულ მოვლა/გამოყენებაზე • მცირე სისტემებში არასაკმარისი აერაცია და ლამის არადროული ამოღების შემთხვევები იწვევს BOD-ის, COD-ისა და ამონიუმის არასრულ მოცილებას • პრაქტიკაში შედარებით უფრო ხშირია არასწორი ექსპლუატაცია • გამწმენდი სისტემის დეგრადაციის შედარებით უფრო მოკლე პერიოდი <p>გარემოსდაცვითი რისკები</p> <p>ინდივიდუალური სისტემების შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბევრი პოტენციური წერტილოვანი დაბინძურების წყარო • სრული სისტემის ეფექტურობის მონიტორინგი რთულია ან პრაქტიკულად შეუძლებელი • შედარებით უფრო მაღალია არასათანადო ლამის მართვის, განთავსების რისკი • სუნის პოტენციური გავრცელების წყაროები ბევრია და ახლოს არის დასახლებულ ერთეულებთან <p>საერთო გამწმენდი სისტემის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • უზრუნველყოფილია ერთი კონტროლირებადი ჩაშვების წერტილი • გამარტივებულია ლაბორატორიული კონტროლი • ოპერატორის პასუხისმგებლობის მარტივად განისაზღვრება სრული ჩაშვების პარამეტრების კონტროლზე • შესაძლებელია ლამის კონცენტრირებული მართვა, სტაბილიზაცია, უსაფრთხო გატანა ან გამოყენება <p>ინდივიდუალური გამწმენდი სისტემების საქართველოს რეგიონებში გამოყენების მიუხედავად არ არსებობს სისტემური სტატისტიკური შეფასება მათი ეფექტურობის შესახებ და ცენტრალიზირებული მონიტორინგის სისტემა. გარდა ამისა,</p>
--	--

	<p>ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები. საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;</p>	<p>ასეთი სისტემების მონტაჟი და ოპერირება მოითხოვს საკმაოდ მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს.</p> <p>ყოველივე აქედან გამომდინარე, საერთო გამწმენდი სისტემა მიჩნეულია უფრო საიმედო და მაღალი ეფექტურობის მქონე სისტემად, რომელიც მეტი ეფექტურობით და უფრო დაბალი რისკებით უზრუნველყოფს საკანალიზაციო წყლების გაწმენდას და არსებული სიტუაციით გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ნეგატიური ზეგავლენის აღმოფხვრას.</p> <p>პროექტირების ამ ეტაპზე უპირატესობა მიენიჭა საერთო გამწმენდი ნაგებობის მოწყობას. შესაბამისად ინდივიდუალური გამწმენდი დანადგარების გამოყენების ალტერნატიულ ვარიანტზე ამ ეტაპზე უარი ითქვა.</p>
20	<p>გზშ-ის ანგარიშში (ქვეთავი 4.4 - „კანალიზაციის ქსელის ალტერნატივები“) აღნიშნულია, რომ საკანალიზაციო ქსელის მარშრუტისა და სხვა ალტერნატიული ვარიანტების განხილვა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან, იგი უნდა „მოეწყოს არსებული რელიეფისა და ბუნეფიცირების განლაგების გათვალისწინებით და სხვა ვარიანტებს გარემოსდაცვითი უპირატესობა არ ექნება.“ აღნიშნული მიდგომა დასაზუსტებელია, რადგან საკანალიზაციო ქსელი არ</p>	<p>აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია.</p> <p>ბაღდათის მუნიციპალიტეტის საპროექტო არეალის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა წარმოადგენს საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გარემოში გაწმენდის გარეშე ჩაშვებას, რაც მნიშვნელოვან ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს როგორც ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე, ასევე სხვა გარემოსდაცვით კომპონენტებზე.</p> <p>პროექტის მთავარი მიზანია აღნიშნული დაბინძურების აღმოფხვრა, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ჯანსაღი, ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, რაც პირდაპირ კავშირშია მათი ცხოვრების ხარისხის ზრდასთან.</p> <p>აქედან გამომდინარე, პრიორიტეტულია, რომ გამწმენდი ნაგებობის შერჩეული სისტემა, ტექნოლოგია, სქემა და ლოკაცია უზრუნველყოფდეს პრობლემის ეფექტურ და გრძელვადიან გადაწყვეტას.</p> <p>ცხადია, ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტი მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე იწვევს გარემოზე გარკვეულ ნეგატიურ ზეგავლენას. შესაბამისად, გზშ-ს პროცედურის ფარგლებში განიხილება ალტერნატიული სცენარები იმ პრინციპით, რომ შეირჩეს ისეთი ვარიანტი, რომელიც გარემოზე მინიმალურ ზემოქმედებას გამოიწვევს და ამასთანავე იქნება ტექნიკურად განხორციელებადი და ეკონომიკურად რენტაბელური.</p> <p>თუმცა, საპროექტო არეალში არსებული მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს შერჩეული ტექნოლოგიური ციკლის ეფექტურობასა და საიმედოობას. ტექნოლოგიური გადაწყვეტის ხარისხი პირდაპირ განსაზღვრავს გარემოზე ზეგავლენის შემცირების მასშტაბს და</p>


<p>წარმოადგენს დამოუკიდებელ კომპონენტს და მისი ტექნიკური თუ სივრცობრივი გადაწყვეტები უშუალოდ არის დამოკიდებული გამწმენდი ნაგებობის ტიპსა და მდებარეობის ალტერნატივებზე. განხილულ უნდა იქნას საკანალიზაციო ქსელის კომპონენტი გამწმენდი ნაგებობის ალტერნატივებთან ერთიან კონტექსტში, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს უპირატესი ალტერნატივის შერჩევის გადაწყვეტილებაზე. საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;</p>	<p>პროექტის გრძელვადიან შედეგიანობას.</p> <p>შესაბამისად, ალტერნატივების შეფასებისას მიზანშეწონილია მშენებლობის ეტაპზე ზემოქმედების მინიმუმაციასთან ერთად შეფასდეს ტექნოლოგიური ციკლის ეფექტურობა და ექსპლუატაციური საიმედოობა. გარკვეულ პირობებში, სწორედ ტექნოლოგიური გადაწყვეტის ხარისხმა შეიძლება განსაზღვროს გარემოზე ნეგატიური ზეგავლენის შემცირების საერთო ეფექტი.</p> <p>გზმ-ში განხილულია ფიტო გაწმენდა ხელოვნური ტბორების გამოყენებით, ინდივიდუალური გამწმენდი ნაგებობები და საერთო ბიოლოგიური გამწმენდი აქტივირებული ლამის და ინტენსიური აერაციის ტექნოლოგიის გამოყენებით.</p> <p>ფიტო გამწმენდი ნაგებობების ეკოლოგიური ინტეგრაციის და ბუნებრივ ლანდშაპტებთან შერწყმის ფაქტორი ამ ტექნოლოგიური ალტერნატივის უპირატესი მხარეა, ამასთანავე ეფექტურობის მისაღწევად ეს სისტემა საჭიროების გაცილებით დიდი ფართის მიწის ზედაპირის ათვისებას სხვა ალტერნატივებთან შედარებით, რაც ქ. ბაღდათის მსგავსი დასახლებული პუნქტისთვის დიდი წნეხი და გარემოზე დამატებითი ნეგატიური ზეგავლენის გამომწვევია. ამასთანავე, გაწმენდის ხარისხი გარკვეულწილად კლიმატზე და სეზონურობაზეა დამოკიდებული, ეფექტურობა დაბალ ტემპერატურაზე ეცემა, და გაზრდილი გაწმენდის ზედაპირებიდან გამომდინარე უსიამოვნო სუნის გავრცელების რისკები უფრო მაღალია. ასევე აღსანიშნავია, რომ აზოტისა და ფოსფორის სრული მოცილება მსგავსი სისტემისათვის ხშირ შემთხვევაში რთულია და უზრუნველყოფს გაწმენდის ნაკლებ ეფექტურობას, სტაბილურ შედეგს, ვიდრე საერთო ბიოლოგიური გამწმენდი სისტემები აერაციის და აქტივირებული ლამის ტექნოლოგიების გამოყენებით. ეს სისტემა ნაკლებად ხელსაყრელია მკაცრი ჩამდინარე წყლების ხარისხის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, შესაბამისად ეს ტექნოლოგიური ალტერნატივა გზმ-ს ანგარიშში უგულებელყოფილია მასზე დაერთებული საკანალიზაციო სქემის კონტექსტშიც და მის გარეშეც. ტექნოლოგიური ალტერნატივის მნიშვნელოვანი ნეგატიური მხარეები საკანალიზაციო ქსელის მოწყობის პრინციპისა და სქემების მიუხედავად კვლავ აქტუალური რჩება.</p> <p>განისაზღვა საერთო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის ოპერაციული, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი უპირატესობები ინდივიდუალურ გამწმენდი ნაგებობასთან შედარებით, ასევე ინდივიდუალური გამწმენდი სისტემის ნაკლოვანებები, რომელიც შეიძლება მოვისაზროთ არგუმენტებათ არსებული სისტემების შედარებისას.</p> <p>ინდივიდუალური გამწმენდი ნაგებობების გამოყენებით გარკვეულ შემთხვევებში პოტენციურად მოისაზრება დაქსელვის მოწყობით გამოწვეული ნაკლები ზეგავლენა, თუმცა ეს უკანასკნელი ვერ უზრუნველყოფს ერთი კონტროლირებადი ჩაშვების წერტილის, მარტივი უწყვეტი მონიტორინგის სისტემის მოწყობას და გამარტივებულ ლაბორატორიულ</p>
---	---

	<p>კონტროლს გამწვანები სისტემის ეფექტურობის უწყვეტ რეჟიმში შეფასებისათვის. ინდივიდუალური გამწვანები სისტემების მოწყობა მოიცავს სხვადასხვა ლოკაციაზე ინდივიდუალური ნაგებობების გამართვას, რაც დაკავშირებული იქნება ბევრი ნაკვეთის ათვისებასთან, მათ შორის კერძო საკუთრებაში მყოფი ნაკვეთების ათვისების ალბათობის ზრდასთან და შესაბამის იურიდიულ, დროით და ფინანსურ სირთულეებთან.</p> <p>საერთო გამწვანები ნაგებობის საკანალიზაციო ქსელი მოეწყობა ძირითადად არსებული გზების დერეფნებში, სადაც უმეტესწილად ტექნოგენური ფენა ან ქვა-ღორღია წარმოდგენილი. არსებულ მონაკვეთებში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ღირებულება ძალზედ დაბალია, ასევე მცენარეული საფარიც ძალზედ მწირია, შესაბამისად ამ მხრივ გარემოზე მიყენებული ზეგავლენა არ იქნება მნიშვნელოვანი, შეუქცევადი და ამ მხრივ ინდივიდუალური გამწვანები ნაგებობის სისტემას არ ექნება დიდი უპირატესობა.</p> <p>საკანალიზაციო ქსელი მოეწყობა არსებული რელიეფის, ბენეფიციარების განლაგების და საპროექტო დატვირთვების გათვალისწინებით. საერთო გამწვანები ნაგებობის მოწყობის შერჩეული ლოკაციის მიუხედავად, საკანალიზაციო სისტემის დაქსელვა იდენტური იქნება ყველა განხილულ ალტერნატივაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, თუ რომელ ვერსიაში რა ლოკაციაზე დაერთდება მოცემული ქსელი გამწვანებ ნაგებობასთან. მხოლოდ ეს უკანასკნელი ფაქტორი პროექტის მასშტაბის გათვალისწინებით და მხოლოდ საკანალიზაციო ქსელის კუთხით უმნიშვნელო განსხვავებას გამოიწვევს გარემოსდაცვითი ზემოქმედების თვალსაზრისით ალტერნატივების შედარებისას.</p> <p>ამასთანავე მნიშვნელოვანი განსხვავება გვხვდება სხვა გარემოსდაცვითი ასპექტების თვალსაზრისით საერთო გამწვანები ნაგებობის შერჩეული ლოკაციების პერსპექტივიდან -</p> <p>რესურსების მოხმარება და ენერგოეფექტურობა: შერჩეული ალტერნატივა გამწვანები ნაგებობის განლაგების სიმაღლის დონის გათვალისწინებით მაქსიმალურად ითვისებს დახრილობის შედეგად მიღებული თვითდინების ეფექტს, რაც იმას ნიშნავს, რომ სატუმბო სადგურებიდან და სრულად საკანალიზაციო ქსელიდან მასის გამწვანებ ნაგებობაში მიწოდებისათვის დაიხარჯება გაცილებით ნაკლები ელექტროენერგია. შერჩეული ალტერნატივა წარმოადგენს და ითვალისწინებს ბუნებრივი რელიეფის გამოყენებით ოპტიმიზებულ კოლექტორულ ქსელს, გრავიტაციულ პრინციპზე დაფუძნებულ სისტემას და ენერგოეფექტურ გადაწყვეტას. ენერგოეფექტურობა თავიმსხრივ დაკავშირებულია CO₂ ემისიების შემცირებასთან.</p> <p>საგანგებო სიტუაციები და უსაფრთხოდ ოპერირების შეფერხება: პირველი ალტერნატივის შემთხვევაში, საკანალიზაციო ქსელის ოპერირება მაქსიმალურად უზრუნველყოფს თვითდინებას და ნაკლებად საჭიროებს ტექნიკურ ჩარევას, ასევე</p>
--	--

		<p>დამოკიდებულებას მექანიკურ მოწყობილობებზე და სატუმბო სადგურების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ნაკლებად იწვევს პოტენციურ ნეგატიურ ზეგავლენებს, გადავსების და საკანალიზაციო ქსელში მყარი ნაწილაკების არასასურველ აკუმულაციის შედეგად გამოწვეულ რისკებს, აგრეთვე უზრუნველყოფს სწრაფ რეაგირებას პიკურ ჩამდინარე მოცულობებზე.</p> <p>შესაბამისად, შერჩეული იქნა გზმ-ში მოყვანილი ალტერნატივა.</p>
21	<p>გზმ-ის ანგარიშში (ქვეთავი - 5.2.4 „წყალდიდობა/მდინარის ნაპირების ეროზია“) განხილულია მდ. რიონთან დაკავშირებული წყალდიდობის პროცესები და დასკვნის სახით მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორია რიონის დატბორვის ზონის მიღმა მდებარეობს, თუმცა აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან ტექსტში მითითებულია, რომ „საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდ. ხანისწყლის ნაპირზე, სადაც მოწყობილია ძველი მდინარის ნაპირის დამცავი სტრუქტურა. დაგეგმილი ღონისძიებები</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია: ტექსტური ნაწილი „დაგეგმილი ღონისძიებები მოიცავს ფერდობის სტაბილიზაციასა და სანაპირო კედლის რეკონსტრუქციას“ არის ტექნიკური ხარვეზი.</p> <p>საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდინარის სიახლოვეს, შესაბამისად გასათვალისწინებელია დატბორვის რისკები. არსებული საკითხი განხილულია დეტალურად დანართი 4 “ბაღდათის სანიაღვრე წყლის დეტალური დიზაინი კვლევა წყალდიდობაზე – ჰიდროგრაფი საპროექტო ტერიტორიაზე“, რომელიც თანდართულია ცალკეული დოკუმენტის სახით. არსებულ დანართში წარმოდგენილია წყალდიდობის რუკები და სხვა რელევანტური ინფორმაცია, რითაც ვლინდება წყალდიდობის რისკები. ამასთანავე დამატებით ცალკე დოკუმენტად არის თანდართული ხანისწყლის სხვა საჭირო ჰიდროლოგიური პარამეტრები (დანართი 3) - წყლის საშუალო წლიური ხარჯები, წყლის მაქსიმალური ხარჯები, წყლის მაქსიმალური დონეები, კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე და მყარი ხარჯი.</p> <p>მდინარის ბუნებრივი დინება კალაპოტის კუთხეში იწვევს ტანგენციური ზეწოლის ასიმეტრიულ განაწილებას ფსკერზე. მაშინ როცა, მომატებული ტანგენციური ზეწოლა იწვევს გარე ნაპირის ეროზიას, მდინარის ნატანი ილექება მდინარის შიდა ნაპირებზე. შედეგად, წყლის დინება წარმოქმნის მეანდრის კონტურებს, რომლებიც (პოზიციით) ცვალებადია. მდინარის ხეობის დაბლობებში ობიექტების დაპროექტებისას და მშენებლობისას, საჭიროა ამ პროცესების იდენტიფიცირება და გათვალისწინება.</p> <p>შემოთავაზებული საპროექტო ტერიტორია (ბაღდათში) მდებარეობს მდინარე ხანისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, დატბორვის ზონაში. გვიჩვენებს მდინარის მარცხენა კალაპოტის ცვლილებებს 2004 წლიდან, რის გამოც მდინარის მარჯვენა ნაპირზე განვითარდა ეროზია.</p> <p>ამ ფონზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მდინარე ხანისწყლის ღერძული ცვლა, საშუალოვადიან პერსპექტივაში, გაგრძელდება, ამიტომ საჭიროა ამ პროცესის თავიდან არიდება ნაპირის დაცვით.</p>

მოიცავს ფერდობის სტაბილიზაციასა და სანაპირო კედლის რეკონსტრუქციას”, შესაბამისად, მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილი უნდა იყოს მდ. ხანისწყლის დატბორვისა და სანაპირო ეროზიის რისკების შეფასება. ამასთან, ქვეთავში - 5.3.2 „მდ. ხანისწყლის დეტალური ჰიდროლოგიური კვლევა“ არსებული სახით არ იძლევა საკმარის და თანმიმდევრულ ინფორმაციას: ტექსტი სტილისტურად და აზრობრივად დაუმუშავებელია, მითითებული დანართი 6, რომელიც ანგარიშის მიხედვით უნდა ასახავდეს წყალდიდობის ალბათობას, არ არსებობს (დანართი 6 წარმოადგენს ნარჩენების მართვის გეგმას), ხოლო მითითებული რუკები არ არის წარმოდგენილი, ასევე „ნიადაგის ტიპის რუკად“ მითითებული

სურათი 1 - მდინარე ხანისწყლის ჰიდრომორფოლოგიური აქტივობა ბაღდათის დაგეგმარების ზონის მიმდებარედ, სატელიტური სურათი Google Earth Pro.



ბაღდათის გამწმენდი ნაგებობა მდებარეობს ხანისწყლის ეროზიულ ნაპირებზე. რაც იწვევს ნაპირების უწყვეტ ეროზიას გამწმენდი ნაგებობის საზღვრისკენ და შესაბამისად, საჭიროებს უსაფრთხოების ზომების მიღებას.

ნაპირსამაგრი ნაგებობის დეტალური გრაფიკი მომზადდება მშენებელი კომპანიის მიერ და წარედგინება გარემოს ეროვნულ სააგენტოს ცალკემდგომი პროექტის სახით.

ვინაიდან წყალგამწმენდი ნაგებობის გაშენება იგეგმება ჰიდროლოგიურად სენსიტიურ მონაკვეთში, ჩატარდა მდ. ხანისწყლის დეტალური ჰიდროლოგიური კვლევა. ამ კვლევის მიზანი ყველა საჭირო ჰიდროლოგიური ინფორმაციის წარმოდგენა და პარატემტრის განსაზღვრა (იხ. დანართი 3).

SCS-CN-ისა და ამ ეტაპზე არსებული ტოპოგრაფიული ინფორმაციის მიხედვით, ხელმისაწვდომია გრაფიკები (24-საათიანი) 3 ძირითადი აუზისათვის - B1, B2 და B3, სხვადასხვა დაბრუნების პერიოდისათვის. გარდა ამისა, წარმოდგენილია ნალექების აუზის გასასვლელი წერტილის გრაფიკიც (B1, B2 და B3-ის შეჯამება). ჩამონადენების

<p>გამოსახლება ფაქტობრივად ასახავს მდ. ხანისწყლის აუზის სიმაღლეთა მოდელს, რაც გაუგებარია. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;</p>	<p>მიღებული მონაცემები გამოყენება წყლის მაქს. დონის გამოსათვლელად სანიაღვრე წყლის ჩაშვების სხვადასხვა წერტილებსა და WWTP-ს ლოკაციაზე (ტოპოგრაფიული კვლევის განხორციელების შემდეგ). 2, 5, 10, 25, 50 და 100 წლიანი დაბრუნების პერიოდებისთვის მდ. ხანისწყლის აღნიშნული მონაკვეთის დინების დეტალური გრაფიკები, ამავე დაბრუნების პერიოდებისთვის წყალდიდობის ალბათობა ასახულია დანართში 4.</p>
---	---

<p>22 გზშ-ის ანგარიშის მიხედვით (დანართი 7 - ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა), ექსპლუატაციის ეტაპზე აღსანიშნავია გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ზალკური ჩაშვება მდ. ხანისწყალში. თუმცა ჩამდინარე წყლების რაოდენობა იმდენად მცირეა მიმღები წყლის ობიექტის ბუნებრივ ხარჯებზე, რომ ავარიულ სიტუაციების შემთხვევაშიც კი შეუქცევადი ზემოქმედების რისკები პრაქტიკულად არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საკანალიზაციო წყლების დიდი ნაწილი ყოველგვარი გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდ. ხანისწყალში. ექსპლუატაციის</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია.</p> <p>ქვემოთ მოცემულია გამწმენდი ნაგებობის ოპერირებასთან დაკავშირებული ყველა მოსალოდნელი ავარიული შემთხვევა, შესაბამისი პრევენციული, საპასუხო და შემარბილებელი ღონისძიებებით.</p> <table border="1" data-bbox="593 742 2027 1347"> <thead> <tr> <th data-bbox="593 742 884 805">ავარიული სცენარი</th> <th data-bbox="884 742 1276 805">პრევენციული ღონისძიებები</th> <th data-bbox="1276 742 1657 805">საპასუხო ღონისძიებები</th> <th data-bbox="1657 742 2027 805">შემარბილებელი ღონისძიებები</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="593 805 884 1347"> <p>ელექტროენერჯის გათიშვა</p> </td> <td data-bbox="884 805 1276 1347"> <ul style="list-style-type: none"> • ობიექტის უზრუნველყოფა საკმარისი სიმძლავრის ავარიული დიზელ გენერატორით • ელექტროსისტემის რეგულარული ტექნიკური ინსპექცია. • ელექტრო დაფების და კაბელების პერიოდული შემოწმება. • გენერატორის საწვავის მარაგის მუდმივი კონტროლი. • წინასწარი ინფორმაციის მიღება მოსალოდნელი ელექტროენერჯის გათიშვის შესახებ </td> <td data-bbox="1276 805 1657 1347"> <ul style="list-style-type: none"> • გენერატორის ავტომატური ან ხელით ჩართვა. • ოპერატორის მიერ პროცესის კონტროლი ხელით რეჟიმში. • არასაჭირო მოწყობილობების დროებითი გათიშვა ენერჯის დაზოგვის მიზნით. </td> <td data-bbox="1657 805 2027 1347"> <ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგიური პროცესის სწრაფი აღდგენა ელექტროენერჯის დაბრუნებისთანავე. • ინციდენტის მიზეზის ანალიზი და პრევენციული ზომების გამლიერება. </td> </tr> </tbody> </table>	ავარიული სცენარი	პრევენციული ღონისძიებები	საპასუხო ღონისძიებები	შემარბილებელი ღონისძიებები	<p>ელექტროენერჯის გათიშვა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ობიექტის უზრუნველყოფა საკმარისი სიმძლავრის ავარიული დიზელ გენერატორით • ელექტროსისტემის რეგულარული ტექნიკური ინსპექცია. • ელექტრო დაფების და კაბელების პერიოდული შემოწმება. • გენერატორის საწვავის მარაგის მუდმივი კონტროლი. • წინასწარი ინფორმაციის მიღება მოსალოდნელი ელექტროენერჯის გათიშვის შესახებ 	<ul style="list-style-type: none"> • გენერატორის ავტომატური ან ხელით ჩართვა. • ოპერატორის მიერ პროცესის კონტროლი ხელით რეჟიმში. • არასაჭირო მოწყობილობების დროებითი გათიშვა ენერჯის დაზოგვის მიზნით. 	<ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგიური პროცესის სწრაფი აღდგენა ელექტროენერჯის დაბრუნებისთანავე. • ინციდენტის მიზეზის ანალიზი და პრევენციული ზომების გამლიერება.
ავარიული სცენარი	პრევენციული ღონისძიებები	საპასუხო ღონისძიებები	შემარბილებელი ღონისძიებები						
<p>ელექტროენერჯის გათიშვა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ობიექტის უზრუნველყოფა საკმარისი სიმძლავრის ავარიული დიზელ გენერატორით • ელექტროსისტემის რეგულარული ტექნიკური ინსპექცია. • ელექტრო დაფების და კაბელების პერიოდული შემოწმება. • გენერატორის საწვავის მარაგის მუდმივი კონტროლი. • წინასწარი ინფორმაციის მიღება მოსალოდნელი ელექტროენერჯის გათიშვის შესახებ 	<ul style="list-style-type: none"> • გენერატორის ავტომატური ან ხელით ჩართვა. • ოპერატორის მიერ პროცესის კონტროლი ხელით რეჟიმში. • არასაჭირო მოწყობილობების დროებითი გათიშვა ენერჯის დაზოგვის მიზნით. 	<ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგიური პროცესის სწრაფი აღდგენა ელექტროენერჯის დაბრუნებისთანავე. • ინციდენტის მიზეზის ანალიზი და პრევენციული ზომების გამლიერება. 						

<p>ეტაპზეც ავარიული სიტუაციების განვითარების მხრივ მაღალი რისკის მქონე უბნები არ იარსებებს. აღსანიშნავია, რომ პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ავარიული წყალსაგდების მოწყობა.” აღნიშნული ტექსტი ძირითადად ეფუძნება არსებული მდგომარეობის შედარებით არგუმენტაციას და ჩამდინარე წყლების მცირე მოცულობის კონსტატაციას, თუმცა არ წარმოადგენს სისტემურ ავარიულ ანალიზს და არ ასახავს პრევენციულ, საპასუხო და შერბილების ღონისძიებებს აღნიშნული ავარიული სცენარისთვის. ასევე, არ არის დეტალურად განხილული ანგარიშში ავარიული წყალსაგდების შესახებ ინფორმაცია. საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;</p>	<p>მილსადენის გასკდომა</p> <ul style="list-style-type: none"> • მილსადენების პერიოდული ტექნიკური ინსპექცია. • კოროზიის საწინააღმდეგო დაცვა. • ჰიდრავლიკური წნევის მონიტორინგი. 	<ul style="list-style-type: none"> • დაზიანებული მონაკვეთის დაუყოვნებლივი იზოლაცია. • დაზიანებული მონაკვეთის შეკეთება ან შეცვლა. 	<ul style="list-style-type: none"> • დაზიანებული ტერიტორიის გაწმენდა • გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი.
	<p>მიმღები მილის გაჭედვა</p> <ul style="list-style-type: none"> • ეკრანებისა და სკრინინგის სისტემის რეგულარული გაწმენდა. • მილსადენის პერიოდული შემოწმება. • დიდი ნარჩენების კონტროლი. 	<ul style="list-style-type: none"> • გაჭედილი მონაკვეთის მექანიკური ან ჰიდრავლიკური გაწმენდა. 	<ul style="list-style-type: none"> • გადავსების თავიდან ასაცილებლად ჩამონადენის კონტროლი.
	<p>გამწმენდი ნაგებობის მდინარით დატბორვა (ღვარცოფი/უხვი ნალექი)</p> <ul style="list-style-type: none"> • გეოლოგიური და ჰიდროლოგიური წინასამშენებლო კვლევების ჩატარება და შედეგების გათვალისწინება დეტალური დიზაინის ეტაპისათვის • ნაპირდამცავი ნაგებობის რეკონსტრუქცია • სახიფათო ნივთიერებების შიდა, დაცულ ტერიტორიაზე შენახვა და დასაწყობება. • ამინდის პროგნოზის მუდმივი კონტროლი, უხვნალექიან პერიოდში ოპერატორების, ტექნიკური გამართულობაზე პასუხისმგებელი მუშახელის და სხვა თანამშრომლების 	<ul style="list-style-type: none"> • ელექტრო მოწყობილობების გათიშვა უსაფრთხოების მიზნით. • წყლის გამოტუმბვა ტერიტორიიდან. • ლამის მართვის ოპერაციების ადაპტირება საგანგებო სიტუაციასთან • პერსონალის ევაკუაცია საჭიროების შემთხვევაში. • მდინარეში გაუწმენდავი მასის ავარიული ჩაშვების შემთხვევაში გარემოს ეროვნული სააგენტოს დაუყოვნებლივი ინფორმირება მომხდარის შესახებ 	<ul style="list-style-type: none"> • დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) • დაზიანებული ტერიტორიების გაწმენდა. • ოპერირების პროცესის ეტაპობრივი აღდგენა. • ნაპირდამცავი ნაგებობის მთლიანობის და ეფექტურობის პერიოდული შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

		წინასწარი გაფრთხილება და მობილიზება.		
	ტუმბოების გათიშვა	<ul style="list-style-type: none"> • ოპერატორის მიერ ტუმბოების გამართულობის ყოველდღიური მონიტორინგი და შედეგების აღრიცხვა • ტუმბოების რეგულარული ტექნიკური მომსახურება • სათადარიგო ტუმბოების არსებობა • ავტომატური კონტროლის სისტემის გამოყენება 	<ul style="list-style-type: none"> • ელ. წყაროს მიწოდების შემოწმება • დაზიანებული ტუმბოს ინსპექცია და შეკეთება (დაზიანების შემთხვევაში). 	<ul style="list-style-type: none"> • ჩამოანდენის რეგულირება გადავსების თავიდან ასაცილებლად. • ავარიული წყალსაგდების გამოყენება საჭიროების შემთხვევაში.
	სადეზინფექციო UV სისტემის გათიშვა	<ul style="list-style-type: none"> • UV სადეზინფექციო სისტემის და მისი დეტალების რეგულარული შემოწმება და საჭიროებისამებრ შეცვლა/შეკეთება • სისტემის პერიოდული წმენდა. 	<ul style="list-style-type: none"> • UV სისტემის სწრაფი ტექნიკური შემოწმება და შეკეთება. • 	<ul style="list-style-type: none"> • ჩაშვებული წყლის ხარისხის ინტენსიური მონიტორინგი.
	SCADA სისტემის გათიშვა	<ul style="list-style-type: none"> • პროგრამული უზრუნველყოფის რეგულარული განახლება. • სერვერის და კომუნიკაციის სისტემების ტექნიკური კონტროლი. 	<ul style="list-style-type: none"> • პროცესის გადაყვანა მანუალურ რეჟიმზე. • ავტომატიზაციის სპეციალისტის ჩართვა. 	<ul style="list-style-type: none"> • ოპერატორების მიერ პარამეტრების ხელით მონიტორინგი. • სისტემის აღდგენის შემდეგ მონაცემების გადამოწმება.
	აერაციის ავზების აქაფება და ქაფის ტერიტორიაზე	<ul style="list-style-type: none"> • პროცესის პარამეტრების რეგულარული მონიტორინგი, მათ შორის 	<ul style="list-style-type: none"> • ქაფის მექანიკური მოცილება. • აერაციის ინტენსივობის 	<ul style="list-style-type: none"> • საჭიროების შემთხვევაში აქაფების საწინააღმდეგო საშუალების გამოყენება.

		<p>გადმოსვლა</p>	<p>აერაციის</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიოლოგიური პროცესის სტაბილური ოპერირება. 	<p>რეგულირება.</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროცესის პარამეტრების კორექტირება.
		<p>ავარიული გენერატორის მწყობრიდან გამოსვლა</p>	<ul style="list-style-type: none"> • გენერატორის რეგულარული ტესტირება. • საწვავის საკმარისად უზრუნველყოფა და დონის კონტროლი 	<ul style="list-style-type: none"> • გენერატორის ტექნიკური დიაგნოსტიკა. • დროებითი ენერჯის მიწოდების ალტერნატიული წყაროს მოძიება. 	<ul style="list-style-type: none"> • ენერგომომხარების ოპტიმიზაცია. • პროცესის ნაწილობრივი შეჩერება კრიტიკული სისტემების შენარჩუნების მიზნით.
<p>წყალსაგდების დეტალური დიზაინი განისაზღვრება დეტალური დიზაინის ეტაპზე მშენებელი კონტრაქტორის მიერ. ავარიული წყალსაგდების სისტემა ისე მოეწყობა, რომ უზრუნველყოს თეურული მაქსიმალური შესაძლო წყლის მოცულობის მიღება და ჩაშვება შეფერხების გარეშე.</p>					
<p>23</p>	<p>გზშ-ის ანგარიშში (ქვეთავი 7.15 - „ავარიული სიტუაციები“) წარმოდგენილია, რომ „დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს გეოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას. გათვალისწინებული არ არის ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების შენახვა-გამოყენება. სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება მოკლე პერიოდის</p>	<p>გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური ელემენტების მწყობრიდან გამოსვლის შესაძლო სცენარების შეფასება მოცემულია ზედა კომენტარში.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ კლიმატური ექსტრემების თვალსაზრისით არსებული საპროექტო გამწმენდი ნაგებობისათვის ყველაზე რელევანტურია მდინარის მიერ ტერიტორიის დატბორვის რისკები. არსებულ რისკი განხილულია წარმოდგენილ გეგმაში და გაწერილია შესაბამისი ღონისძიებები. კლიმატური ექსტრემების თვალსაზრისით სხვა მოსალოდნელი ზეგავლენა შეიძლება იყოს ექსტრემალური მაღალი ტემპერატურა ზაფხულის პერიოდში, რაც ზოგადად კავშირშია აორთქლების და სუნის გავრცელების ზრდასთან. პროექტისათვის ოპერირების ეტაპზე ჩატარებული გაფრქვევის ანგარიშში გათვალისწინებულია ზაფხულის პერიოდიც. მიღებული ზდკ კოეფიციენტების მნიშვნელობების გათვალისწინებით ნეგატიური ზეგავლენის მნიშვნელოვანი ზრდა არ არის გათვალისწინებული და ზეგავლენა იქნება დროებითი ხასიათის. შემარბილებელი ღონისძიებების გეგმაში გაწერილი აქტივობების კომპლექსური განხორციელების გათვალისწინებით, აღნიშნული ზეგავლენა იქნება კიდევ უფრო მართვადი. სხვა მხრივ ექსტრემალური მაღალი ტემპერატურა არ არის დაკავშირებული წყლის გაწმენდავად ან არასაკმარისად გაწმენდილი სახით მდინარეში ჩაშვების რისკებთან. ასევე ექსტრემალურად დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში არ არის მოსალოდნელი აერაციის ავზებში და სხვა უბნებში წყლის სრულად გაყინვა და გამწმენდი ნაგებობის ეფექტურად ფუნქციონირების შეფერხება წარმოდგენილი სისტემის ფუნქციონირების თავისებურებების გათვალისწინებით. სხვა ზეგავლენების თვალსაზრისით, ძლიერი ქარი,</p>			

<p>განმავლობაში. გამწმენდი ნაგებობის ოპერირების ტექნოლოგიური პროცესი აბსოლუტურად უსაფრთხოა და არ უკავშირდება რაიმე სახის მნიშვნელოვანი ავარიის განვითარებას. საერთო ჯამში საქმიანობის განხორციელების შედეგად მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფების რისკები მოსალოდნელი არ არის.” თუმცა, აღნიშნული შეფასება არასაკმარისია პროექტის ხასიათის გათვალისწინებით. ავარიული სიტუაციების განხილვა არ მოიცავს გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური ელემენტების მწყობრიდან გამოსვლის შესაძლო სცენარების შეფასებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გაუწმენდავი ან უხარისხოდ გაწმენდილი ჩამდინარე წყლების გარემოში მოხვედრა. ამასთან, არ არის გაანალიზებული ქვედა დინებაში ზემოქმედებები</p>	<p>სეტყვა ან/და სხვა კლიმატური ექსტრემები არ არის მოსალოდნელი, რომ გამოიწვევს არსებით ნეგატიურ ზეგავლენას და შექმნის საგანგებო სიტუაციებს, ან მათი დადგომის ალბათობა (მაგ. მეწყერი, გვალვა და სხვა) შესაბამისი ზემოქმედების გათვალისწინებით ძალიან დაბალი ან არარსებულია.</p> <p>ავარიული ჩაშვების შემთხვევაში არის რისკი მდინარეში არასრულად გაწმენდილი წყლის მასის მოხვედრის. ჩაშვების შემთხვევის დადგომის დროისთვის წყლის მასის გაწმენდის დონის და მდინარის წყლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე შესაბამისი ნეგატიური ზეგავლენის ზუსტი წინასწარი განსაზღვრა ძალიან რთულია. ავარიული სიტუაციის პერიოდში მდინარის წყლის დაბინძურების ხარისხის შემცირების ღონისძიებები არ არსებობს. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მდ. ხანისწყალი წყალუხვობით ხასიათდება. ეს კი ნიშნავს, რომ მას გააჩნია განზავების საკმაოდ მაღალი შესაძლებლობა და დამაბინძურებლების წყალში მოხვედრის შემთხვევაში ხარისხობრივი მდგომარეობის შესამჩნევი გაუარესება მოსალოდნელი არ არის. წყლის გაწმენდა მოხდება თვით გაწმენდის პროცესის საშუალებით.</p> <p>ავარიული ჩაშვების შემთხვევის დადგომის/დაფიქსირებისას მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა გარემოს ეროვნულ სააგენტოს, ლოკალურად კი ნაგებობის ოპერირებაზე პასუხისმგებელი პერსონალის და მენეჯმენტის მიერ გაკონტროლებული და მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება ჩაშვების პროცესის კონტროლი, რათა ავარიული შემთხვევის დადგომისას არ მოხდეს ბოლომდე გაუწმენდავი მასის გარდაუვალ მოცულობაზე მეტის ჩაშვება. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უკვე მოცემულია გზშ-ს ქვეთავში „რეაგირება გამწმენდი ნაგებობის დაზიანების და საკანალიზაციო წყლების ავარიული ჩაშვების შემთხვევაში“.</p>
---	---

	<p>ავარიული ჩაშვების შემთხვევაში და არც კლიმატურ ექსტრემებთან დაკავშირებული რისკები, მათ შორის მდ. ხანისწყლის მიერ ტერიტორიის შესაძლო დატბორვა. საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;</p>	
24	<p>გზშ-ის ანგარიშის მიხედვით (ქვეთავი “1.1 ზოგადი მიმოხილვა”. გვ. 1), დაგეგმილი საქმიანობის კომპონენტს წარმოადგენს დამცავი ჯებირის აგება, თუმცა ანგარიშის შემდგომ ნაწილებში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაცია აღნიშნული ნაგებობის ტექნიკური პარამეტრების, განთავსების, ფუნქციური დანიშნულებისა და გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების (ჰიდროლოგიურ, გეომორფოლოგიურ და ეკოლოგიურ პროცესებზე და სხვა) შესახებ. ზემოქმედება, შესაბამისად მისი არგუმენტირებული აღწერისა</p>	<p>კომენტარი გათვალისწინებულია: აზრაცში მოცემული ტექსტური ნაწილი დამცავი ჯებირის აგებასთან დაკავშირებით წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს - დაგეგმილი საქმიანობის კომპონენტს არ წარმოადგენს დამცავი ჯებირის აგება. ეს საკითხი დამუშავებული იქნება მშენებელი კონტრაქტორის მიერ, რომელიც შესათანხმებლად წარედგინება გარემოს ეროვნულ სააგენტოს.</p>

	<p>და შეფასების არარსებობა წარმოადგენს შინაარსობრივ ხარვეზს და არ იძლევა აღნიშნული პროექტის კომპონენტის გარემოსდაცვითი გავლენების სრულფასოვანი შეფასების შესაძლებლობას. საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;</p>	
25	<p>გზშ-ის ანგარიშში არასრულად არის წარმოდგენილი ჰიდროლოგიური სახის ინფორმაცია - განხილულია მხოლოდ მაქსიმალური ხარჯები და დონეები. საპროექტო არეალში ეროზიული და დატბორვის პროცესების მიმართ მდინარის სენსიტურობიდან გამომდინარე, წარმოდგენილ უნდა იქნას ჰიდრომეტრიული და ჰიდროლოგიური მახასიათებლების გაანგარიშებები: სხვადასხვა უზრუნველყოფის საშუალო წლიური ხარჯები, მათი</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია: არსებული საკითხები მოცემულია მდ.ხანის წყლის დამატებით კვლევაში, რომელიც თანდართულია დანართი 3-ის სახით ცალკეულ ფაილად.</p>

	<p>საანგარიშო უზრუნველყოფის შიდაწლიური განაწილება, მყარი ჩამონადენი, კალაპოტის წარეცხვის მაჩვენებლები, საანგარიშო დატბორვის დონეები და ა.შ. ასევე, ჭალა-კალაპოტის მორფომეტრიული პარამეტრების გაანგარიშებები, მით უმეტეს, რომ არსებობს პროექტის დაგეგმარების არეალში კალაპოტის ჰიდრომორფოლოგიური აქტივობის განხილვის საშუალება დინამიკაში, 18 წლიანი პერიოდით – 2004-2022 წწ. (გვ.72, სურ. 3-26). აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;</p>	
26	<p>ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის მოწყობისთვის შერჩეულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია: გამწმენდი ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 30.03.37.067. განახლებული ზდგ ანგარიში დაკორექტირებულია შესაბამისად და წარმოდგენილია დანართის სახით ცალკეულ დოკუმენტად. (დანართი 2).</p>

	<p>მიწის ნაკვეთი - ს/კ: 30.03.37.042, ხოლო გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის აგება იგეგმება იმავე ტერიტორიაზე, სადაც საბჭოთა პერიოდში იგეგმებოდა მისი აგება. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდია: 30.03.37.067. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;</p>															
27	<p>გზშ ანგარიშს არ ერთვის აკრონიმების განმარტების სია, რაც ართულებს წარმოდგენილი ინფორმაციისა და შინაარსის აღქმას. საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია:</p> <p>აკრონიმები</p> <table border="1" data-bbox="593 917 2049 1331"> <thead> <tr> <th data-bbox="593 917 728 965">აკრონიმი</th> <th data-bbox="728 917 2049 965">განმარტება</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="593 965 728 1029">BAG</td> <td data-bbox="728 965 2049 1029">ბალდათი – ქალაქი ბალდათი პროექტის კონტექსტში</td> </tr> <tr> <td data-bbox="593 1029 728 1093">BOD</td> <td data-bbox="728 1029 2049 1093">ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილება</td> </tr> <tr> <td data-bbox="593 1093 728 1157">COD</td> <td data-bbox="728 1093 2049 1157">ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება</td> </tr> <tr> <td data-bbox="593 1157 728 1220">CFU</td> <td data-bbox="728 1157 2049 1220">კოლონიურად გამომუშავებადი ერთეული</td> </tr> <tr> <td data-bbox="593 1220 728 1284">DS</td> <td data-bbox="728 1220 2049 1284">მშრალი ნივთიერებები – ლამის ან ნალექის მშრალი ნაწილის შემცველობა წყლის მოცილების შემდეგ</td> </tr> <tr> <td data-bbox="593 1284 728 1331">EIA</td> <td data-bbox="728 1284 2049 1331">გარემოზე ზემოქმედების შეფასება</td> </tr> </tbody> </table>	აკრონიმი	განმარტება	BAG	ბალდათი – ქალაქი ბალდათი პროექტის კონტექსტში	BOD	ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილება	COD	ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება	CFU	კოლონიურად გამომუშავებადი ერთეული	DS	მშრალი ნივთიერებები – ლამის ან ნალექის მშრალი ნაწილის შემცველობა წყლის მოცილების შემდეგ	EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
აკრონიმი	განმარტება															
BAG	ბალდათი – ქალაქი ბალდათი პროექტის კონტექსტში															
BOD	ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილება															
COD	ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება															
CFU	კოლონიურად გამომუშავებადი ერთეული															
DS	მშრალი ნივთიერებები – ლამის ან ნალექის მშრალი ნაწილის შემცველობა წყლის მოცილების შემდეგ															
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება															

EU	ევროკავშირი
EPDM	ეთილენ-პროპილენ-დიენ ტერპოლიმერი
FST	საბოლოო სალექარი ავზი
HDPE	მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენი
KfW	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW განვითარების ბანკი)
MLSS	შერეული თხევადი შეწონილი ნაწილაკები
O&M	ექსპლუატაცია და მოვლა
P	ფოსფორი
PE	მოსახლეობის ექვივალენტი – ჩამდინარე წყლების დატვირთვის საზომი ერთეული
PTFE	პოლიტეტრაფლუორეთილენი
PVC	პოლივინქლორიდი
PEA	პროექტის აღმასრულებელი ორგანო
PMCG	პოლიტიკისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო ჯგუფი
PS	სატუმბი სადგური
RAS	დაბრუნებული გააქტიურებული ლამი
SAI	საირმე – კურორტი პროექტის კონტექსტში
SCADA	ზედამხედველობითი მართვისა და მონაცემთა შეგროვების სისტემა
SAM	ქალაქი სამტრედია პროექტის კონტექსტში
SAS	ჭარბი გააქტიურებული ლამი
SAK	სპექტრული შტანთქმის კოეფიციენტი

		SSK	სპექტრული გაფანტვის კოეფიციენტი
		TOC	სარჩევი
		TN	საერთო აზოტი
		TS	მთლიანი მყარი ნაწილაკები
		TSS	მთლიანი შეწონილი მყარი ნაწილაკები
		UBA	გერმანიის ფედერალური გარემოს დაცვის სააგენტო
		UV	ულტრაიისფერი
		UWSCG	საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
		VAN	ქალაქი ვანი
		VAC	მიმავალი ძაბვის სიხშირე
		WWTP	ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა
		გზშ	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
		შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
		სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
		ზდრ	ზღვრულად დასაშები ჩაშვება
		ზდგ	ზღვრულად დასაშები გაფრქვევა
		ზდკ	ზღვრულად დასაშები კოეფიციენტი
28	ანგარიშში წარმოდგენილი	შენიშვნა გათვალისწინებულია: მოცემული კომენტარის მიხედვით არსებული ტერმინოლოგია არასწორად იყო	

	<p>ჰიდროლოგიური ტერმინოლოგია არაზუსტია (უნდა იყოს – არის), კერძოდ: ჩამონადენი – ნაკადი; ხარჯი – მაჩვენებელი; დაკვირვების რიგი (ხანგრძლიობა) – ინტერვალი; ჰიდრომეტრული სადგური - საზომი სადგური; უზრუნველყოფა (ალბათობა, პერიოდულობა) – დაბრუნების პერიოდი და სხვა;</p>	<p>გამოყენებული გზმ-ს ანგარიშის არაერთ ქვეთავში, ტექსტური ნაწილში, სხვადასხვა წინადადებებში. გზმ-ს დოკუმენტის სრულად გადამოწმების შემდგომ, აღნიშნული უზუსტობები დაფქისირდა, დანართი 5 - ს სახით დამატებით მოცემულია დოკუმენტი, სადაც მოცემულია დაკორექტირებული ტექსტები და ქვეთავები.</p>
29	<p>სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი შიპ ფაილების არეალი სააგენტოში არსებული ინფორმაციით, ნაწილობრივ კვეთს მანგანუმის ყვირილის დეპრესიის (უბანი როკითი) საბადოს კონტურს. აღნიშნულ ტერიტორიაზე პროდუქტული ფენა განლაგებულია სიღრმეზე და საბადოს დამუშავების შემთხვევაში წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრის</p>	<p>სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსთან აღნიშნული შეთანხმების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართის სახით;</p>

	<p>მემკვიდრეობით. „წილის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა, იმ პირობით, რომ საბადოზე ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში არ შეიზღუდება წილისეულით სარგებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;</p>	
30	<p>სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ვინაიდან, საპროექტო არეალში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია.</p> <p>50 მეტრის რადიუსში მიწის სამუშაოების შესრულება წარიმართება არქეოლოგის ზედამხედველობით და შესაბამისი ანგარიშის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენის ვალდებულებით შემდეგი ძეგლების ფიზიკური დაცვის არეალებში:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სოფ. დიმის მთავარანგელოზის ეკლესიასთან,

<p>ძეგლები ისტორიული ნაგებობებია და არსებობს მათ სიახლოვეს არქეოლოგიური ფენების აღმოჩენის ალბათობა, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მიწის სამუშაოები წარიმართოს არქეოლოგის ზედამხედველობით შემდეგი ძეგლების ფიზიკური დაცვის არეალებში (ძეგლიდან 50 მ-ის რადიუსში): 1. სოფ. დიმის მთავარანგელოზის ეკლესიასთან, 2. სოფ. დიმის კვეტენაძეების ეზოში მდებარე კოშკთან, 3. სოფ. პირველი ფერსათის „სალხინო“-ს ეკლესიასთან, 4. სოფ. პირველი ფერსათის ქვედა სასაფლაოს ეკლესიასთან, ანგარიშის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენის ვალდებულებით, რის შესახებაც წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ინფორმაცია;</p>	<ol style="list-style-type: none"> 2. სოფ. დიმის კვეტენაძეების ეზოში მდებარე კოშკთან, 3. სოფ. პირველი ფერსათის „სალხინო“-ს ეკლესიასთან, და 4. სოფ. პირველი ფერსათის ქვედა სასაფლაოს ეკლესიასთან
---	--